სახელმწიფოსარეგისტრაციო კოდი
390.050.000.12.212.005.376

# საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის

**თავმჯდომარის ბრძანება №10/122**

**2002 წლის 24 ივნისი**

**ქ. თბილისი**

## „სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის შესახებ“ (მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს №2124-II-ს) XVI თავის 76-ე მუხლის, XXXV თავის 116-ე მუხლის დ) ქვეპუნქტის დ.მ.) ნაწილის შესრულების უზრუნველსაყოფად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს დებულება „სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების წესის შესახებ“.
2. დაევალოს დეპარტამენტის ტყის აღრიცხვისა და ტყით სარგებლობის სამმართველოს (ბატონ ი. ბაბუხადიას) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ დადგენილი წესის შესაბამისად.

**თავმჯდომარე  გ. ჯაფარიძე**

## „სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების

## წესის შესახებ“

### მუხლი 1. დებულების საფუძველი

დებულება „სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების წესის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის შესახებ“ (მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს N 2124-II-ს) XVI თავის 76-ე მუხლის, XXXV თავის 116-ე მუხლის დ.მ.) ნაწილს და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას.

### მუხლი 2. დებულების მიზანი და რეგულირების საგანი

დებულების მიზანია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების გზით ტყის მერქნული და სხვა მცენარეული რესურსების ოპტიმალური ოდენობის მისაღებად განსახორციელებელი საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება.

### მუხლი 3. სატყეო პლანტაციური მეურნეობა და მისი წარმოების მიზანი

1. სატყეო პლანტაციური მეურნეობა არის გრძელვადიანი ტყეთსარგებლობა და გულისხმობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის სასურველი პროდუქტებისა და სხვა მცენარეული რესურსების ოპტიმალური ოდენობით მოპოვებას.
2. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნებს შეიძლება შეადგენდეს:

ა) ტყის მცენარეული პროდუქტების წარმოების გზით მოგების მიღება;

ბ) გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

**მუხლი 4. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის ფართობების შერჩევა და გამოყოფა**

1. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის შესაბამისი ფართობების შერჩევა ხდება სათანადო საქმიანობით დაინტერესებული პირის (პირების) განცხადების საფუძველზე.

2. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის ფართობების შერჩევა ხდება სახელმწიფო ტყის დაბალი სიხშირის კორომებში და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე.

3. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის ფართობების შერჩევას ახორციელებს ტყის მართვაზე უფლებამოსილი პირის ადგილობრივი (ტერიტორიული) ორგანო.

4. სატყეო პლანტაციური მეურნეობისათვის ფართობების შერჩევის მასალები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) ფართობისა და მისი საზღვრების შესახებ (უნდა დაერთოს რუკა);

ბ) მდებარეობის (კვარტალი, ლიტერი, სიმაღლე ზღვრის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვა) შესახებ;

გ) ნიადაგის შესახებ;

დ) მისასვლელი გზების და ინფრასტრუქტურის სხვა საშუალებების შესახებ;

ე) საირიგაციო საშუალებების შესახებ;

ვ) ამ ნაკვეთზე არსებული ტყის (ცალკეული სახეების) დეტალური მახასიათებლებისა და განლაგების შესახებ;

ზ) შერჩეული ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიების დახასიათება;

თ) სხვა შესაძლო მონაცემების შესახებ.

5. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის ფართობების შერჩევა არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ტყის ფონდის იმ ტერიტორიაზე, სადაც პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნებისათვის აუცილებელი გახდება ხის (ხეების) მოჭრა 1 ჰექტარზე 5 კუბ. მეტრზე მეტი ოდენობით.

6. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის ფართობის შერჩევას და ამ დებულებით განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე მის დამაგრებას ახორციელებს ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ადგილობრივი (ტერიტორიული) ორგანო.

**მუხლი 5. პლანტაციური მეურნეობის წარმოების უფლების მოპოვება**

1. სატყეო პლანტაციციური მეურნეობის წარმოების განხორციელება შეუძლია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ნებისმიერ ფიზიკურსა და იურიდიულ პირს.

2. ტყით მოსარგებლეთა შერჩევა ხორციელდება ტენდერის ან აუქციონის გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებაზე უფლებების მოპოვება ხდება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილ პირსა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ტენდერში (ან აუქციონზე) გამარჯვებულ პირს შორის ხელშეკრულების დადებისთანავე.

**მუხლი 6. ძირითადი მოთხოვნების სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნით დასადებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით**

სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნით ხელშეკრულება იდება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილ პირსა და ამ დებულებით განსაზღვრულ ტენდერში (აუქციონზე) გამარჯვებულ პირს შორის.

2. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნით ხელშეკრულება იდება ტენდერში (ან აუქციონში) გამარჯვებულის გამოვლენიდან 2 კვირის ვადაში და ამ ტენდერის (აუქციონის) პირობების დაცვით.

3. ტყის მართვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიზეზით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული 2 კვირიანი ვადის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება დადებულად, ხოლო ტენდერში (აუქციონზე) გამარჯვებული ტყითმოსარგებლედ.

4. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნით ხელშეკრულებაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დამატებით შესაძლებელია შეტანილ იქნას ისეთი შეთანხმება, რომელიც განავრცობს და დააკონკრეტებს ტენდერის (აუქციონის) პირობებს და არ ეწინააღმდეგება მათ.

5. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ტყითსარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი ტერიტორიის საწყის მდგომარეობამდე აღდგენის პირობებსა და ვადებს.

**მუხლი 7. სატყეო პლანტაციური მეურნეობის მართვა**

1. სატყეო პლანტაციური მეურნეობის მართვა ხორციელდება ტყითმოსარგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ხელშეკრულების პირობების დაცვით.

2. პლანტაციაში წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს ტყითმოსარგებლის საკუთრებას.

**მუხლი 8. ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვა, შერჩევა, შეწყვეტა და აღდგენა**

სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებისას ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვა, შეჩერება და აღდგენა ხორციელდება „ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 მარტის ბრძანების საფუძველზე.

**მუხლი 9. კონტროლი და პასუხისმგებლობა**

1. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის ტყითმოსარგებლეს.

2. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოებაზე კონტროლს ახორციელებს ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი პირი.

**მუხლი 10. დავების გადაწყვეტა**

სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების სფეროში წარმოშობილი დავები წყდება სასამართლოს წესით.